# მეცნიერებმა დედამიწის მაქსიმალური ტემპერატურა დაადგინეს

**მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა კანადაში მდებარე კრატერი საგულდაგულოდ შეისწავლეს და დედამიწის მაქსიმალური ტემპერატურა დაადგინეს.**

აღნიშნული კრატერი თავის დროზე მეტეორიტის დაცემისგან წარმოიქმნა. მკვლევარებმა მისტატინის კრატერის ქანები შეისწავლეს და ცირკონის კვალს მიაგნეს, რის წყალობით დაადგინეს, რომ მეტეორიტის დაცემის მომენტში დედამიწის ზედაპირი 2370 C° გრადუსამდე გაცხელდა,რადგან მხოლოდ ამ ტემერატურის პირობებში წარმოიქმნება ცირკონიუმის კუბური ზეჟანგი.

კრატერი მისტატინი კანადის ნახევარკუნძულ ლაბრადორზე მდებარეობს და დღეისთვის ტბად არის ქცეული. მეცნიერების ვარაუდით კრატერი 38 მილიონი წლის წინ წარმოიქმნა.

newinform.com